გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 197 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 197

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


24 აგვისტოს გარდაიცვალა, ს. ქურდღელოვის სახლში.

**ივანე გლახას ძე კაკაბაძე,**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილი განსვენებულისა **დავით ივანეს ძე**, ნათესავი **სოლომონ ქურდღელაშვილისა**. პანაშვიდი გადახდილ იქმნება ხუთშაბათს დილით 9 საათზედ და საღამოთი —7 საათზედ ოქოევის ქუჩაზედ, ჯიგრაშენის პირდაპირ, სურგუნოვის სახლში. წაასვენებენ კახეთში. გასვენების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. (1—1)

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## ცირკი ვ. რობინესი

მთავრობის ნება-დართვით ქ. ტფილისში.

(მიხაილოვის პროსპექტი, მუშტაიდის ახლოს)

**ხუთშაბათს, 26 აგვისტოს**

**დიდი ექსტრა—ორიგინალური წარმოდგენა**

მონაწილეობას იღებს ცირკის მთელი დასი, სამი განყოფილება. პირველად საგიმნასტიკო ვარჯიშობა, შეასრულებს დაი **ხორ ნი**. ორი ინგლისელი ჟოკეი გამოვლენ ცხენებით, ბ.ბ. **ჰენრი** და **ჟანნი**. მეორე დებიუტი ცხენოსანის ქალის **მარიეტასი**. ფურორი. პანტომიმა.

ფასი ბილეთებისა ჩვეულებრივი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

დირექტორი **ვ. რობინე**.

გამგებელი **გ. ხორინი**.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შეიძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—15)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა ახალი

**კატალოგი**

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

**საჭიროა**

**მასწავლებელი ქალი**

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი ისურვებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

**კატალოგი**

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—19). (იხ. განცხ. მე-4 გვ.). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

**ამხანაგობის დამაარსებელნი**

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე. 5—უ—5.

**სამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბერის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასშა; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონრინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჭხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. მ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქკრაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არგანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ლიაოიანის ბრძოლა.—პორტ-არტურთან.—წვრილი ცნობები.

ისეთი დიდი ომი და სისხლის ღვრა, რომელიც ამ დღეებში იყო ლიაოიანთან, ისეთ უთვალავ რაზმებისა და მძლავრ ლაშქრების შეჯახება ისტორიამ არც კი იცის, თუ ძველი და საშუალ საუკუნოების საზღაპრო ომების ამბები სინამდვილედ არ მივიჩნიეთ. ინგლისის გაზეთებს ატყობინებენ ლიაოიანიდგან, რომ მეომართა რიცხვი ნახევარ მილიონს უდრის და 1,300 ზარბაზანი აქვთო. რუსებს უნდა ჰყოლოდათ 235,000 მეომარი 578 ზარბაზნით; იაპონელებს კი 325,000 მეომარი 930 ზარბაზნით. ამას რომ 25,000 ავადმყოფი, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი გამოვაკლოთ ორთავ მხარეს, მაშინ ლიაოიანის ომში 510,000 მეომარი იქმნებოდა 1,414 ზარბაზნით. რადგან ლიაოიანის მიდამოებში ყოველი მაღლობი გამაგრებული იყო, როგორც ეხლანდელი ხელოვნება მოითხოვს და ეხლანდელი იარაღიც მტერს ადვილად იგერებს, ლიაოიანის ომი ორ-სამ დღეს ვერ გათავდებოდა და ცხრა დღეც ბევრი არ არის 11—19 აგვისტო)...

ლიაოიანს თავის-თავად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო, ვიდრე ლიაოიანი ჩვენ ხელთ იყო, გენერალ კუროპატკინს შეეძლო იაპონელები შეეჩერებინა მდინარე ლიაოხეს, ხეობაზედ და რკინის გზის ლიანდაგის გამოყოლებაზე. ამასთანავე იაპონელებს არ გადმოუშვებდა მდინარე ტაიძიხეს აქეთა ნაპირს და ამით მუკდენის გზას არ გაუღებდა.

იმ დროს, როდესაც ცხარე ბრძოლა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ოქუსა და ნოძუს ლაშქრებთან, გენერალმა კუროკიმ 18 აგვისტოს საღამოს მთელი ჯარი გაიყვანა ფონში, თავის არტილერიითა და კავალერიით, ლიაოიანის ზემოდ, 15 ვერსის სიშორეზე, ჩრდილოეთად. იმავე ღამეს იაპონელებმა ერთი თუ რამდენიმე სახელდახელო ხიდი გასდეს მდინარეზედ. დილით 19 აგვისტოს ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირს ორ დივიზიამდე იყო გასული, რომელიც გაიყო და ორს მხარეს წამოვიდა: დასავლეთისკენ, რომ რუსის ჯარის მარცხენა ფრთა მოემწყვდია, და ჩრდილოეთისკენ, სადაც იანტაის ქვანახშირის მადანია. დასავლეთის მხარეს გაგზავნილი დივიზია რუსის ჯარს გადაეღობა, რომ გენერალ კუროკის დაუბრკოლებრივ გადაეყვანა მდინარეზედ მთელი თავისი ლაშქარი.

ჩრდილოეთისკენ გალაშქრება გენერალ კუროკისა იმას მოასწავებს, რომ მუკდენის აღების განზრახვაცა აქვს და ამაზედ, ვგონებთ, წლევანდელი ომი შერერდება. თუმცა მრავალნი გაცხარებით ამტკიცებენ, რომ მუკდენზედ გალაშქრება იაპონელების მხრივ დიდი შეცდომა იქმნებაო, მაგრამ ამის ნიშნები 19 აგვისტოსვე თვალსაჩინო იყო.

ზოგნი ამბობენ, ეს მხოლოდ დემონსტრაცია არისო, როგორც ამბობდნენ ლიაოიანის შესახებაც. მაგრამ ამგვარ სიტყვის თამაშობით არავინ მოტყუვდება. დემონსტრაციასა და ნამდვილ საქმეს შორის დიდი საზღვარი არ არის და დემონსტრაციას ხშირად ისეთივე შედეგი მოსდევს, როგორც ნამდვილს ომს.

ეხლა მთლად მომავალი იმაზედ არის დამოკიდებული, რავდენი ჯარი გადიყვანა გენერალ კუროკიმ თერგისავით შმაგს მანჯურიის მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირს. ოფიციალური ცნობები გვაუწყებს, რომ ტაიძიხეს მარცხენა ნაპირს გენერალ კუროკის მხოლოდ თავის ლაშქრის მარცხენა ფრთა დაუტოვებია, რო-

მელიც 17 აგვისტოს რუსებს ებრძოდა. უმთავრესი ნაწილი კი, 70—80 ათას კაცამდე გამოღმა გადმოუყვანია. თუ ეს მართალია, მაშინ უნდა მოველოდეთ, რომ ის რაზმები, რომლებიც ჩრდილოეთისკენ იყო დაწინაურებული, ეხლა მუკდენთან მოიყრის თავს. სწორედ ამ რაზმებზე თუ გვაუწყებდა ამას წინად დეპეშა, 10,000 იაპონელი მუკდეგზე მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთიდგანაო. ეს რაზმი შემდეგ დასავლეთისკენ წასულა, რომ რკინის გზის ლიანდაგთან გენერალ კუროკის ჯარს შეუერთდეს. ამ ჟამად გენერალ კუროკის ჯარი 30 ვერსით უფრო ახლოა მუკდენზე, ვიდრე ლიაოიანიდგან დაძრული რუსის ლაშქარი. ამ გარემოებაში რუსის ჯარს სხვა არა შეუძლიან რა იმას გარდა, რომ მთლად თავისი რისხვა გენერალ კუროკის ლაშქარს დასცეს, გაიცალკეოს და უკუ-აქციოს. (რ. ვ.).

—

გერმანული გაზეთები ადარებენ ეხლანდელ ბრძოლებს და ამბობენ, ამისთანა საშინელი ბრძოლა არა ყოფილაო. ლიაოიანთან თითქმის იმდენივე მეომარი იყო, რამდენიც კენიგრეცსა და ლეიპციგთან; სედანთან კი მხოლოდ 244 იყო ორთავ მხარესო სედანის ბრძოლაში 25,000 მეომარი მოჰკლეს, კენიგრეცთან —33,000, ლიაოიანთან კი, უეჭველია, ამაზე მეტი მოკვდებოდაო. ზარბაზნების გრიალი არე-მარეს არყევდა, თითქო მიწის-ძვრა არისო. მებრძოლნი ისე დაუახლოვდნენ ერთმანერთს, რომ ვეღარ არჩევდნენ, ვინ მტერი იყო და ვინ თვისი. რავდენიმე კორესპონდენტიც დაიჭრა და, სხვათა შორის, გაზეთ «რუსის» კორესპონდენტიც. (რ. ვ.).

—

პორტ-არტურიდგან ოდესას მისულ ფლოტის ტეხნიკოსს უამბნია, ეხლახან რუსებმა ორი მიწური აღმოაჩინეს ტყვია-წამლით სავსე. ამბობენ, ჩინელებს გაუმართავთ ეს საწყობები და გზა-კვალი დაეხშოთ იმ დროს, როდესაც იაპონელები პორტ-არტურს იღებდნენო. გენერალ სტესსელმა, რასაკვირველია, ეს ტყვია-წამალი გამოიყენა, თუმცა რუსის ჯარს ისეც სამყოფი საწყობები აქვს დამზადებული. (ნ. დ.),

—

პორტ-არტურიდგან ჩიფუს ვაპარული ჩინელი ამბობს, რუსის სამხედრო გემები «რეტვიზანი», «პობედა» და «სევასტოპოლი» ძალიან არის დაზიანებული. «რეტვიზანს» წყალ ქვეშაც აქვს გვერდი შეტეხილი. «პობედას» კი მოქმედება შეუძლიან. 4 საგზირო გემი და რავდენიმე ნაღმოსანი უზიანოა. თუმცა იაპონელები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს, რომ არც ერთი გემი თუ ნავი პორტ-არტურიდგან არ გამოვიდეს, და თუ შენიშნეს, დაუზოგავად ღუპავენ, მაგრამ ხანდისხან ნავები ახერხებენ გაპარვას და ჩიფუსკენ მიაქვთ-მოაქვთ დეპეშები.

—

რუს-იაპონიის ომმა არტილერიის ღირსება და ნაკლულევანება ცხადად დაანახვა ევროპიელებს და ზოგი სახელმწიფო შესდგომია კიდეც თავის არტილერიის გადაკეთებას. გაზეთ «ფოსტის» სიტყვით, გერმანიაც აკეთებინებს ახალ სისტემის ზარბაზნებს, რომლებსაც მოძრავი ჯავშანი ექმნება. (ნოვ.).

## ტფილისი

*** ამას წინად სახალხო წარმოდგენების სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, მოჰხდა ქართულ წარმოდგენების სექციის სხდომა. სექციამ შეადგინა სია იმ სცენის მოყვარულთა, რომელთაც ახლად მოისურვეს სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება. ჩაეწერა 18 კაცამდე. როგორც ვწერდით, სექციას 20-მდე ახ,ლი პიესა აქვს, ზოგი ორიგინალი, ზოგიც ნათარგმნი. რეპეტიციები დაიწყება ამ დღეებში, ხოლო პირველი წარმოდგენა გაიმართება 13 სეკდემბერს.

*** 22 აგვისტოსთვის დანიშნული კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა არ შესდგა. წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, და გადაიდო 29 აგვისტოსთვის. ეს მეორე თუ მესამე კრება იყო დანიშნული, მაგრამ წევრნი მაინც არ გამოცხადდნენ, ცხადია, გულგრილად ეკიდებიან ამ სასარგებლო დაწესებულების საქმეებს.

*** ტფ. ქალაქის გამგეობასა და ლუდის პატრონს კარლე მანუილ ვეტცელს შორის ამ ჟამად დავაა ატეხილი. ქალაქი ედავება ვეტცელს მიწის ერთ ნაჭერს, რომელიც ამ უკანასკნელს მიუთვისებია. ყველა საბუთის ქაღალდები, იმის დამამტკიცებელი, რომ მიწა ქალაქს ეკუთვნის, იმყოფება საგუბერნიო გამგეობაში. ქალაქის გამგეობა სთხოვს საგუბერნიო გამგეობას, გამოუგზავნოს ყველა საბუთის ქაღალდები ამ საგნის შესახებ.

*** რიყის ქუჩის მცხოვრებლებმა განცხადება გადასცეს ქალაქის გამგეობას და აცნობებს, რომ უსახელო საზოგადოებამ რიყის ქუჩაზე რკნის გზის ლიანდაგი ქვაფენილზე მაღლა გააკეთა, რის გამო დიდი ზარალი მოგველის ნიაღვრების დროს და, თუ ქალაქმა არაფერი იღონა, სახლები წყლით აგვევსებაო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა. რომ ქალაქის რომელსამე ნაწილში საკლავი საქონელი არ გაიყიდოს. საქონლის გამყიდველებმა საქონელი პირდაპირ ქალაქის ბაჯში უნდა მორეკონ.

*** ტფილისის სასანიტარო კომისიამ სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, ქუჩებისა, მოედნებისა და ხევების დასუფთავების თვალყურის გდება და ქალაქის მუშების ხელმძღვანელობა დაევალოს ინჟენერს ჩახმახსაზიანცს.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ქუთაისიდან გუშინ-წინ, 24 აგვისტოს, საღამოს 10 საათზედ, მოუვიდა დეპეშა, რომ აქ გარდაცვლილა 24 აგვისტოს ლევან მირიანაშვილი, ქართულ თეატრის მსახიობი, ქმარი მსახიობ ქალის მარ. მდივნისა. განსვენებულს მირ-ს კენჭი ერგო და ჯარის კაცად წაიყვანეს, მაგრამ ავად გახდა და გაანთავისუფლეს.

*** გუშინ კოჯრიდგან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე, გენერალი ინფანტერიისა ა. ა. ფრეზე, რომელმაც სამსახურის საქმეთა გამო მოხელენი და მთხოვნელნი მიიღო მთავარ-მართებლის კანცელარიაში და შემდეგ ისევ კოჯორს დაბრუნდა.

*** პოლიციის პირველ ნაწილში, ვერაზედ, პოლკოვნიკ ყორღანოვს აქვს რამდენიმე აგურხანა, რომლებშიაც მაზუტსა და ნავთს ხმარობს აგურის დასაწვავ ღუმელებში და ამის გამო ისეთი საშინელი სუნი და ჰვარტლი ვრცელდება, რომ ახლო-მახლო გავლა შეუძლებელია. მეექვსე სასანიტარო ნაწილის სანიტარულმა მზრუნველმა ექიმმა ქანანოვმა გუშინ საქალაქო სასანიტარო-აღმასრულებელს კომისიას წარუდგინა განცხადება, რომელშიაც უმორჩილესად სთხოვს, განკარგულება მოახდინოს, რომ პოლკოვნიკ ყორღანოვს დაუკეტონ აგურხანა. ბ-ნი ქანანოვი სწერს თავისს განცხადებაში, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ აგურხანიდგან გავრცელებულ საშინელ სუნისაგან გამვლელს გული შესწუხებიაო. ამას გარდა, კარგახანია, რაც ტფილისის მცხოვრებთ ნება მიეცათ, რომ უწმინდურების არხს შეუერთონ თავიანთი ფეხის ადგილები, მაგრამ პოლკოვნიკ ყორღანოვს არამც თუ შეუერთებია, არამედ ახალი ორმოები ამოუთხრია და ამისი სუნიც უფრო უხამავს ჰაერს, რის გამოც ვერის მცხოვრებნი სჩივიან, რომ ამ რაიონში არ ედგომება კაცსაო. პოლკოვნიკ ყორღანოვისათვის წინადაც რამდენჯერმე მიუციათ წინადადება, რომ სანიტარულად გაესუფთავებინა ქარხანა და უწმინდურობის არხიც ქალაქის უმთავრეს არხისათვის შეეერთებინა, მაგრამ მას ყურიც არ გაუბერტყნია იმედია, სასანიტარო კომისია არ დააყოვნებს განკარგულებას და ეხლავე დაჰკეტავს ყორღანოვის აგურხანებს.

*** ტფილისის სახალხო წარმოდგენათა გამმართველმა ქართულმა სექციამ დაადგინა, სეზონი დაიწყოს 11 სეკდემბერს. ახალ სცენის მოყვარულებად უკვე ჩაეწერა 20 კაცამდე. გუშინ ჰქონდათ პირველი რეპეტეციები ბრიეს პიესისა «ძიძები», თარგ. ავქ. ცაგარლისა.

*** სახაზინო პალატამ მისწერა ტფილისის მაზრის უფროსს, მანიფესტის გამოცემის გამო შეაჩეროს დროებით სახელმწიფო სამრეწველო და სავაჭრო გარდასახადთა დარჩენილ ფულის შეკრება. პალატამ უნდა გამოარკვიოს, მანიფესტის ძალით, რა ფულია ნაპატიები და რა არა.

*** უმაღლეს მანიფესტის ძალით, მეტეხის საპყრობილიდგან გაანთავისუფლეს 48 პატიმარი.

*** ამ დღეებში ტფილისის სახაზინო პალატამ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სამინისტროს წინაშე უმაღლეს მანიფესტის ზოგიერთ მუხლების განმარტების შესახებ.

*** მთავარ-მართებლის კანცელარია კოჯრიდან ტფილისს ჩამოვა შაბათს, 28 აგვისტოს.

*** გზათა მინისტრის განკარგულებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან ამიერბაიკალის გზაზე ჰგზავნიან 10 ტელეგრაფის მოხელეს.

*** ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში გამოიკვლიეს ტფილისის ხელოვნურ და ხილის წყლის ქარხნებისაგან მომზადებული წყალი და აღმოჩნდა, რომ «მალინის» წყალი შეღებილი ყოფილა ჯანმრთელობისთვის მავნე საღებავით, ხოლო «გრუშოვის» წყალში კი საზარინი ყოფილა გარეული. ანალიზის შემდეგ შეუდგინეს ოქმი მექარხნეებს: გენადის, ევგენი ზემელს, „კავკასიის“ ფირმას, ოჰანეზოვსა და თანდილოვს და გადასცეს სასანიტარო კომისიას.

*** 24 აგვისტოს იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს პურსა და ხორცზედ ნიხრის დაწესება, დაადგინა პურზედ შემდეგი ნიხრი: 1-ლ ხარისხის პურზედ ნიხრი არ შეცვლილა, ისევ ისე შაურად გაიყიდება გირვანქა, მეორე ხარისხის პური, ადგილობრივ 1-ლ ხარის-ხის ფქვილისაგან გამომცხვარი, გირვანქა $3^{1}/_{2}$ კაპ.; კომისიამ დაადგინა, რადგანაც ხშირად მესამე ხარისხის პურს მეორე ხარისხის პურად ჰყიდდნენ, მოსპოს მესამე ხარისხის-პური, ასე რომ ამის შეიდეგ იქნება მხოლოდ პირველ და მეორე ხარისხის პური.

*** მარიამ მაგდალინელის თავშესაფარ სახლისათვის (ზნე-დაცემულ ქალთათვის) ვაჭრის ქვრივს მარიამ მაკაროვისას უანდერძებია 1,000 მანეთი.

*** ტფილისის გუბერნატორმა თელავის ციხის შენობის შესაკეთებლად საპატიმროთა უმთავრესს სამმართველოს სთხოვა 2,000 მან. გადადება, მაგრამ რადგანაც ხსენებულ უმთავრესს სამმართველოს ამდენი ფული აღარ დარჩენია საპატიმროთა შესაკეთებლად გადადებულ თანხ დგან, ამიტომ მხოლოდ 150 მან. გამოუგზავნა ტფ. გუბერნატორს.

*** ამიერ-კავკასიის ოლქის საბებიო ინსტიტუტში მისაღები ეგზამენები მოჰხდება 3 სეკდემბერს. თხოვნები მიიღება მხოლოდ 3 სეკდემბრამდე.

## საქართველოს ამბები

აქამდე სოფლის ექიმებს საგზაო ფული არ ეძლეოდათ, როდესაც ერთს ადგილიდგან მეორეზედ მიდიოდენ ავადმყოფებთან. მთავრობამ გადასწყიტა, დღეიდგან მიეცეს სოფლის ექიმებს საგზაო ფული, რომელსაც, თუ მთავრობის დაწესებულებისაგან იქნება გაგზავნილი, ექიმის მთავრობა მისცემს, ხოლო თუ კერძო ან საზოგადოებრივი დაწესებულებანი გაჰგზავნიან—ამ უკანასკნელთ უნდა მისცენ.

◆ მდ. არაგვზედ ხიდის გასამართავად მუშაობას დაიწყებენ 5 სეკდემრიდგან. ამ ხიდის გაკეთება მინდობილი აქვს კავკასიის საპიორთა ბრიგადის სააღმშენებლო ნაწილს.

◆ 22 აგვისტოს, კავკასიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ბორჯომში რუსული წარმოდგენა გაუმართავთ. ხალხი წარმოდგენას ბლომად დასწრებია.

◆ ქობულეთსა და ბათუმს შორის ნავთის გადასაზიდ მილების გასაყვანად მიწის მუშაობა უკვე დამთავრდა.

**ახალციხე.** ჩვენს უწმინდურ ქუჩებს ძლივს ეღირსა დახვეტ-დაწმენდა და ჩვენი თვალებიც ასცდა ყოველნაირ უწმინდურობის ხილვასა, მეტადრე მკვდარ ძაღლების და კატების გდებას აქა-იქ. უწმინდურების ქცევასა და სხვა. სწორედ 12 წელიწადი იქნება მას აქედ, რაც აღარ დახვეტილა, ე. ი. 1892 წლის ხოლერობისას რომ დახვეტეს, ერთიც ეხლა ეღირსა დასუფთავება. ზოგი „ჭირი მარგებელიაო“; ხოლერის ხმა დიდად უხდება ჩვენს ქალაქს და, რადგანაც ხოლერა 10—12 წლიურია, ამისათვის კარგი იქნება არა ხოლერობის დროსაც ვინმემ ამოიჭყაველოს ჩვენკენ «ხოლერა მოდისო», მაშინვე ეღირსება სანიტარულად დაცვა ჩვენს ქუჩებსა.

19 აგვისტოს სოფ. წყისეში (უდის საზოგად.), ძმამ გვარად ფოცხოვლოდლიმ ხანჯლით ძმა მოჰკლა; უბრალოდ მოკლულის კამეჩს თურმე მკვლელის კალოზე გაუვლია და ფეხით აუჩიჩქნია დახვეტილი და ამას გამოუწვევია მკვლელობა.

20 აგვისტოს სოფ. ვასხანში მეხმა ერთი ქალი და კაცი მოჰკლა. ქალი ახალ-

---

## ფელეტონი

—

«...თვით ღვთაებასაც კი...».

(ვუძღვნი ქალ... ე... დ... ასულს).

(დასასრული *)

### IV

დიაღ, ასეთი საუცხოვო თვისებისანი იყვნენ ჩვენის მოთხრობის გმირნი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ისინი ასცდნენ საზოგადო სენს—ცრუმორწმუნოებას, რაც ეხლამდისინაც კი ფესვ-გადგმულია ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში. მათ სწამდათ: თუ სჩქვინჩა ჩიტი დილას მარცხენა მხარეზე დასძახებდა, ეს იყო გლახა შედეგის მომასწავებელი; აგრედვე თუ მარცხენა თვალი თამაშს დაუწყებდა, ყორანი თავს დასჩხავლებდა, ძაღლი დაიყმუვებდა და სხვა...

ერთხელ ფრიდონს ამ საგანზე შემდეგი სჯა-ბაასი ჰქონდა თავის მეგობრებთან.

— სწორედ სასაცილოდ მიმაჩნია ასეთი ცრუ რწმენა,—სთქვა ერთმა.

— სულელის მეტი ამას როგორ დაიჯერებს,—დასძინა მეორემ.

— რაზედ ლაპარაკობთ,—დაეკითხა ფრიდონი.

— თუ გინდა ვსთქვათ, გვირგვინს ქვეშ ფეხზე ფეხის დადგმაზე, აბა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას.

— ძრიელ დიდი,—მიუგო ფრიდონმა.

— როგორ, შენ გრწამს, რომ თუ საცოლემ გვირგვინს ქვეშ ფეხზე-ფეხი დაგადგა, ამით ის შენ დაგიმონებს?..

— საქმე ეგ როდია...

— მაშ?..

— გრძნობაა, აზრისა და მოქმედების მნიშვნელობა.

— როგორ, ვითომ არის ისეთის გრძნობის ზედ-გავლენა, რომ ფეხზედ-ფეხის დადგმას შეეძლოს კაცის დამონება?..

— ვერ მიხვდით, ეგ სულ სხვა არის... ძალა თუმცა არის ქვეყანაზე, რომელიც უეჭველად გავლენას იქონიებს კაცის ყოველსავე მოქმედებაზე, არც შეიძლება იმის გზის აქცევა. ეს ძალა ზოგ ადამიანში მეტია, ზოგში ნაკლები, რაც ცხადად მტკიცდება ინდოეთის ფაქირების საკვირველი მოქმედებით. გეტყვით ერთს ამბავს: როცა მე ინდოეთში ვიახელი ჩემს გამზრდელს სამრად, ხშირად ვხედავდით, რომ ფაქირები გასაშტერებელ ამბებს სჩადიოდნენ. ერთი რომელიმე ფაქირი შეაჩერდებოდა ერთ-ერთ მისს მახლობლად მდგომს კაცს თვალებში და იტყოდა ჩურჩულით რამდენსამე სიტყვას და ეს კაცი ნელნელა ჰკარგავდა ცნობიერებას. გასწევდა, თავის და უნებურად, მიუახლოვდებოდა სკამს, ან მდივანს, ჩამოჯდებოდა ზედ და მაშინვე ჩასთვლემდა. ეს კიდევ არაფერი. ვნახეთ, რომ ფაქირს ამ რიგად დაძინებული ფაქირი დაუმარხავს, სამის დღის შემდეგ ამოუღია სამარიდან და ისევ გაუცოცხლებია.—ეს სულ მხოლოდ ჩაგონების გრძნობითა და არა სხვა რამ მანქანებით, ანუ წამლით. მაგრამ მე ასეთ გრძნობაზე კი არ მოგახსენებთ. მე ვამბობ ზნეობრივს გრძნობაზედ, ანუ უკეთ რომ, ვსთქვათ, მე ვამბობ, ურთიერთ შორის სიყვარულისა და ნამდვილ მეგობრობის მნიშვნელობაზე. მაგალითად, აი აგერ მე, ყველამ იცით, რომ ფატმანი მიყვარს, ვაღმერთებ, ვეთაყვანები, ჩემს თავსა და სულს მირჩევნია, მჯერა, მასაც მოვსწონვარ, მაგრამ მისგანაც კი ამას ვერ ავიტანდი. ისიც კარგად მესმის, რომ ეს სრულიად უმნიშვნელოა; ვსთქვათ, ფეხზე ფეხის დადგმას ნამდვილი მნიშვნელობა აქვს, ვსთქვათ, მე ამით იმას მონამორჩილად გავიხდი... მაინც არ ვიქ ამას, იმიტომ რომ, თუ კი მიყვარს ნამდვილის სიყვარულით, მის დამონებას როგორ-ღა მოვინდომებ და ან თუ იმას ვუყვარვარ—ის როგორღა მოინდომებს? აქ ის როდია საგულისხმო, თუ ფეხზე ფეხის დადგმას რა ძალა აქვს, არამედ რა მნიშვნელობა აქვს... კაცმა ან ქალმა, არა თუ ფეხზე ფეხი დამადგას, არამედ თავიც რომ გამიტეხოს, დამატყვევოს, ჩემ სიცოცხლეში მაწვალოს, მონობას მაინც ვერ მაკისრებინებს, ჯაბანს ვერ დამარქმევს. აქ საქმე სიყვარულის მნიშვნელობაშია; სადაც სიყვარულია, იქ ანგარიშსა და მონობას რა ხელი აქვს?!

— კი, მაგრამ ევებ უნდა, რომ მარტო იმას ეკუთვნოდე და მხოლოდ ამ აზრით იქცევა ისე?

— შემცდარი აზრია, თუ კი ნამდვილად უყვარს ქალს კაცი, ანუ ორთავეს ერთმანერთი, იქ ასეთი ზომვა-კერვა აღარ შეიძლება.

— ვსთქვათ, ეგ აგრეა, მაგრამ იმ სხვა, მრავალ ცრუ მორწმუნეობაზე რაღას იტყვი?.

— ყოველივე ის, რაც უშნო, უსიამოვნო და უგუნურია, ანუ რაც ერთხელვე ჩვენ ჩამომავლობითვე ძვალსა და რბილში შეგვსისხლხორცებია, ავად თუ კარგად, ყველა ამას თავისებური ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს. აბა, რა მნიშვნელობა აქვს და რა სასიამოვნოა, თუ ღმერთი გწამს: ძაღლის ყმუილს, ყორნის ჩხავილს და სხვა...

აი ასეთის აზრის კაცი იყო ფრიდონი; ყველაფერი თავისებურად სწამდა «მითხარი, ჰო!.. ეუბნებოდა ფრიდონი ფატმანს,—არა არ მინდა მითხრაო». განა ეს იგივე ძონობა, იგივე თავის მოხრა არ არის? მაგრამ ფრიდონისთვის ეს სრულიად გაუგებარი იყო. «ან უნდა გიყვარდეს უზომოდ, უანგაროდ და ან მხოლოდ ღირსების პატივის მცემელი უნდა იყო. მეგობარი-მეუღლე სრული მოზიარე და უსაზღვრო უნდა იყოს... თვით მტერიცო,—იტყოდა ხოლმე ფრიდონი,—კი არ უნდა დაიმონო, არამედ უნდა იძმო, გაიამხანაგოო. ერთის სიტყვით, მონობა არ შეეძლო, ასე ეგონა. ისე კი, ნამდვილის კრიტიკულის თვალით რომ შევხედოთ, ნათლად დავინახავთ, რომ ერთსა და იმავე დროს ბატონიც იყო და ყმაც, მაგრამ კი არც ბატონობა სწამდა და არც ყმობა შეიძლებაო, ამბობდა იგი,—ჩემი აზრი სრულიადაც მრუდე იყოს, მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია, მე მწამს მაცხოვრის უკვდავი სიტყვები: «ნუ უზამ იმას სხვას, რაც არ გინდა შენ სხვამ გიყოს». ასეთი იყო ფრიდონი და რას იქთ, თუ კი კაცის სვე-ბედი, ხასიათი და თვით მისი არსებაც კი განსაზღვრულ-შემოფარგლულია.

ვერ ვიტყვით, რომ ფატმანს ფრიდონი არ ჰყვარებოდეს. ეს შეუძლებელია, რადგან ფატმანს იგი პირველ ნახვისათანავე მოეწონა, მამა მისის სასახლეში ჯირითის დროს, და სთქვა „აი, ვაჟკაცი, რომელსაც სავსებით შეუძლია დააკმაყოფილოს ქალის მისწრაფება და იდეალიო.

### V

დიაღ, ასეთის ხასიათისა და მიმართულებისანი იყვნენ ჩვენი მოთხრობის მიზეზნი. ყოველივე მათებური, სწორე და უტყუარი ეგონათ.

— ფრიდონ,—უთხრა ერთხელ მეგობარმა,—ვერ იქცევი რიგიანად. ნუ თუ არ იცი ქალის ბუნება: რამდენადაც მოერიდები, იმდენად გაგინაზდება, იმდენად უფრო ხელში დაჭერას მოგინდომებს...

—რას ამბობ,—მიუგო ფრიდონმა,—თუ უყვარვარ, ჩემს დამცირებას და დასჯას როგორ-ღა მოინდომებს?!.

— ღმერთმა ქნას... მაგრამ...

— კმარა, კმარა, მე გთხოვ... სიტყვა აღარ დაუსრულებია, ამ დროს თვით ფატმანმა შემოაღო სასტუმროს კარები და ლაპარაკი შესწყდა.

— ეჰ!.. უნებლიედ წამოიძახა ფრიდონმა და ინსტიქტიურად წამოხტა,—მობრძანდით... მობრძანდით!.. აი... აგერ. —აი, აგერ, ჩემო ფატმან... აი, აქ, აქ დაბრძანდი... დააბრძანა ფატმანი მდივანზე და თვითონ კი მოკრძალებით, შორიახლო უბრალო სკამზე ჩამოჯდა. ისე დაიბნა, ისე აირია ფრიდონი, რომ სრულიად გაფითრდა. ფატმანის გამჭრიახმა გრძნობა-გონებამ ნათლად შეამჩნია ეს არა-ჩვეულებრივი მოვლენა და სთქვა გუნებაში—ჰხედავთ, როგორ სტყუიან კაცები... არ ვის წინ ქედს არ მოვიხრითო, მაშ, რა არის ეს, თუ არ თავის მო-

---

*) იხ. ივერ. № 196.

ციხელი რიაკაშვილის ქვრივი ნენე იყო და მეორე კი ადგილობრივი მაჰმადიანი ნენე ახალციხიდან ახალი მოსული ყოფილა თურმე თავის ბაღში და შესასვენებლად ჰანდრის ძირში მიმჯდარა მეწისქვილე მაჰმადიანთან ერთად სწორედ ელვა-ჭექის დროს.

ძალიან კარგი იქნება, სოფლის მღვდლები და მასწავლებლები აუხსნიდნენ სოფლის უვიცებს მეხის ასაცილებლად, რომ ელვა-ჭექის დროს ისინი მოერიდნენ ხის ძირში და მაღალ მთის წვერებზე ყოფნასა...

მესხი კ. გვარამაძე.

---

**ოზურგეთი**. დღემდი თუ მჭადი მაინც ჰქონდათ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ, ეხლა აღარც ის არის; იშვიათი იქნება ისეთი მცხოვრები, რომ სიმინდი ჰქონდეს; მაგრამ იშოვის კი? ფუთი 1 მან. 40 კ. იყიდება და ამ ფასად ათას ნაირ მოთხოვნილებითა და ცხოვრების უკუღმართობით წელში გატეხილმა გლეხმა სიმინდი როგორ უნდა იყიდოს წინად, არამც თუ საყიდელი, გასაყიდიც კი ბევრი ჰქონია. ეხლა კი იძულებულია ჩარჩისაგან იყიდოს სიმინდი, რომ შიმშილით არ მოკვდეს. მაგრამ რით იყიდოს, როცა სულით ხორცამდის არაფერი გააჩნია და სრულიად გაღატაკებულია? მშველელი კი არსად არის, რომ ხალხს ასეთ გაჭირვებაში ხელი გაუმართოს ჭირნახულის ახალ მოსვლამდე, რომელსაც ჯერ, ჯერობით კარგი პირი უჩანს...

სად. ნატანებიდან ოზურგეთამდე, რომელიც 18 ვერსით არის დაშორებული, სავაჭრო საქონელი ურმებით მოაქვთ, რომელიც გზაში იქით-აქეთ ორს დღეს უნდება. ფუთის წამოღება დღემდე 5 კ. ღირდა. თითო ურემს შეუძლია წამოიღოს 40 ფუთი, რაიც ორ მანეთს იზამს რომელიც ურემისა და კაცისათვის ორს დღეს მცირე ფასია. ამ დღეებში მეურმეებმა უკმაყოფილება განაცხადეს და ითხოვეს ფასის მომატება, რის გამოც ადგილობრივმა მთავრობამ დაადგინა ნიხრად ფუთზე 10 კაპეიკი, მეურმეთა მოთხოვნილებისამებრ, ყოველსავე საქონელზედ, გარდა პურისა, რომლის ფუთიც 8 კაპ. უნდა წემოიღონ. ამის გამო აქაურმა ვაჭრებმაც ყველა საქონელზედ ფასი ასწიეს, რადგან თურმე «ცოდვა» ყოფილა, რომ ჩვეულებრივზედ ცოტა ნაკლები მოიგოს ვაჭარმა!... რადგან სიმინდი გაძვირდა და აღარ იშოვება, ადგილობრივნი მცხოვრებნი და სოფლელნიც, თუ ორიოდე გროში იშოვეს, გამომცხვარ პურს ყიდულობენ, რომელმაც ჯერ-ჯერობით ნახევარ კაპეიკი მოიმატა გირვანქაზედ და შემდეგში, იმედია, უფრო გაძვირდება.

უსუფ-ალა.

# რუსეთი

აი რამდენი ეპატიეთ გლეხებს 11 აგვისტოს მანიფესტით: ნადელების გამოსასყიდ ფულისა 127 მილიონი, ბევრად მეტი იმაზედ, რასაც წელიწადში იხდის გლეხობა. წელიწადში ნადელების გამოსასყიდ ვალის თავნ-სარგებლის გადასახდელად იხდის რუსეთის გლეხობა მხოლოდ 91 მილიონს მანათს. შეუტანელ სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადისა ეპატიეთ 2.200,000 მან. ციმბირის გლეხებს საკომლო გადასახადისა და იჯარით აღებულის მამულებისა—7 მილ. საცა ერობაა შემოღებული, იქ ეპატიეთ საერობო გადასახადი, სანადელო მამულებზედ გაწერილი—15 მილ.

---

პეტერბურგის უნივერსიტეტში 800 კაცზედ მეტი არ მიიღეს ყველა ფაკულტეტზედ. ებრაელთა თხოვნების რიცხვი 125-მდე ავიდა, მაგრამ 25-ზედ ზეტს არ მიიღებენ. სულ ებრაელთა შორის 31 ს მედალით გაუთავებია კურსი გიმნაზიისა.

— ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, სახელმწიფო ბანკმა მისცა «ზაკასპ. ობოზ.»-ის რედაქტორსა და გამომცემელს ფედოროვს თვისის გამომცემლობის საქმის გასაძლიერებლად 20,000 მან. გაზეთები ამბობენ, ნეტავ, რა უნდა გააფართოვოს ამ ფულით ფედოროვმა, რომელიც გაზეთსაც ჰბეჭდავს და ელექტრონის განათების საქმეც ხელში უჭირავს ასხაბადშიო.

# კავკასია

**ქ. განჯა**. 20-ს ამა თვის აგვისტოს საღამოს ცხრა საათზედ ქ. განჯაში საზიზღარი მკვლელობა მოჰხდა: აი საქმე როგორ იყო: აქ სწავლობდა და თავის ძმასთან იდგა სოფელ ძეგლევის ონის მაზრის მცხოვრები აზ. მიხეილ ჯაფარიძის შვილი კოლა. საღამოს ცხრა საათზედ სახლიდგან გამოსულა და იქავე აბლოს საზამთროს ყიდვა სდომებია. ამ დროს მას შეუნიშნავს, რომ ალაყაფის კარზე ვილაც თათარი მდგარა და კარს არაკუნებდა, თათარს სდომებია ამ სახლის პატრონის მოკვლა. მართლაც გამოსულა სახლის პატრონი თათარსაც რამდენჯერმე რევოლვერი უსვრია, მაგრამ სახლის პატრონი გაქცეულა და ტყვია ასცდენია, ამ დროს კოლა ჯაფარიძეს სახლისკენ გამოუჩქარებია, თათარს უფიქრია, ვაი თუ ეს ყმაწვილი მოწმეთ გამოდგეს ან გამომეკიდოს და მომნახონო და მისთვისაც დაუხლია რევოლვერი, ტყვია მოხვედრია თეძოში და მუცელში გამოსულა ერთი საათის შემდეგ მომკვდარა.

კოლა ჯაფარიძე იზრდებოდა მის ძმის ოჯახში, რომელიც აქ მასწავლებლად იმყოფება. სწავლობდა აქაურ გიმნაზიაში, მეშვიდე კლასში, მე სწორედ პირველად მინახავს ამათთანა მოტრფიალე ქართულ ლიტერატურისა, როგორც ვ. ჯაფარიძე, აგრეთვე ძმები ივანე (ეხლა სტუდენტია) და უკანასკნელი ნეტარ-ხსენებული კოლა. თუმცა მოწაფე იყო, მაგრამ არ გამოეპარებოდა არასფერი კეთილი საქმე, არც ქართული საღამო, არც წარმოდგენები და სხვა; თუ კი აქაური სცენის მოყვარეები წარმოდგენას გამართავდნენ ან ქალაქიდგან ჩამოვიდოდნენ არტისტები, აფიშა საჭიროც არ იყო. ეს იმედით სავსე ყმაწვილი სუყველას ატყობინებდა და ურჩევდა, აბა, არ დარჩეთ მოუსვლელიო. თუ სუფლიორი არ იქნებოდა, ამ მოვალეობას თითონ ასრულებდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერები წაკითხული ჰქონდა და კიდევაც მსჯელობდა მათ შესახებ. რომ დასცლოდა საცოდავს, სწორედ საიმედო ყმაწვილი კაცი იქნებოდა.

სწორეთ საწყენია ამისთანა ყმაწვილის უდროვოდ დაკარგვა, როგორც ჭირისუფლებისთვის, ეგრეთვე სხვებისთვისაც.

საუკუნო ხსენება გექნეს უდროვოდ და უცაბედათ მიცვლილო, იმედებით სავსე, ძვირფასო კოლა!

ვარდენ უიფიანი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვ. როზანოვი, როგორც გადმოგვცემს გაზეთი „Новости“ ს პრესის მიმომხილველი, მოგზაურობს სოფლიდ-სოფლად, იძიებს და იკვლევს ბეჩავის გლეხის ცხოვრების ვითარებასა. ბ-ნი როზანოვი მწარედ აუღელვებია იმ თავქარიანების მითქმამოთქმას, ვითომ რუსის გლეხი ზარმაცი იყოს, და ამისა გამო ჰკიცხავს იმათა. ბ-მა როზანოვმა აღნიშნა ის გარემოება, თუ როგორ ეტანება გლეხი სხვა-და-სხვა სამუშაოს და ამისათვის ცხრა-მთას იქითაც მიდის.

«მაშასადამე, — ამბობს იგი, — რუსის გლეხი ზარმაცი არ არის, მაშასადამე, ის დაეძებს სამუშაოს! სამუშაოზე შორს წასვლა იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს გლეხს გვერდზე წოლა არ უყვარს, ნაცარქექიაობას არ მისდევს. მაგრამ რა ჰქნას, დონე გაუწყდა, ფეხქვეშ ნიადაგი აქვს გამოცლილი: 1) მიწის სიცოტავითა და 2) იმითი, რომ ახლო-მახლო ხელის მომცემი, წელში გამასწორებელი სამუშაო არ მოეძებნება. ანბანის შესწავლაზე უმალ, ასე გასინჯე, სარწმუნოებაზე უმალ, უნდა გადავარჩინოთ ხალხის ფიზიოლოგიური მხარე. უნდა ისე დადგეს საქმე, რომ იმის ქისა არ ცარიელდებოდეს. ნუ ამოვაცლით იმას ქისიდან წვა-დაგვით შეგროვილს მანათსა, მერე კი ჰკრიჭეთ იგი, ფხანეთ, ასწავლეთ, ასწავლეთ, თუნდა «პორკვრისწერა!»

უოგლის უწინარეს «ყოფნა», ხოლო შემდეგ ამ ამ «ყოფნაზე» ააშენეთ კულტურა. ჩვენს სოფელში კი ჯერ-ჯერობით თვით ამ «ყოფნაზეა» საზრუნი საქმე. თუ ერთი ფეხით ძირს დაიწია ხალხმა, უეჭველივე დაინგრევა იქ, რადგანაც მხვნელ-მთესველი, რომელსაც გამხვრწვალი ცხენი გაუბამს გუთანში, ჰგავს ძროხის მაგიერად თხა (სულ ნახული მაგალითებია), რომელიც დაზარმაცებულია (დაუნდობლის სიდარიბისაგან, რომელსაც სახელება მეუხდია იმისთვის—აქ იწყება სიზარმაცე!), უგვლგან მიმდგი (რუსის იზიუმი) ანაზ დეჟურდ გადიქცევა გლახაკად და მოწყალებისთვის ხელს გამოკვიშვერს! მათხოვრობა საშინელი მოვლენაა. წუნარია იგი, მაგრამ ქარიშხალზე მკაცრი. მათხოვარი—ხალხის პანსიონერია. მაგრამ რადესაც თვით ერი «გაიშვერს ხელს», ვიდამ მისცეს? საიდან რა მისცეს?

ჩვენც მრავალ გზის გაგვიგონია ჩვენებურ «თავქარიანებისაგან», ვითომ ქართველი გლეხი ზარმაცია, დღე მუდამ ნაცარქექიაობს და წარმატებას ერიდება. ჩვენებურს გლეხს ნაკლებად იცნობენ ამის მთქმელნი. ჩვენი ვალია, ვეცადნეთ, მთელმა «ერმა ხელი არ გაიწოდოს სამათხოვროდ!»...

---

„რუსკ. ვედ.“-ი ამტკიცებს, რომ სოფელი კულტურულად იზრდებაო.

ფართოვდება და იზრდება სოფლად აზრი, რომ საჭიროა შეიცვალოს არსებული წეს-წყობილება მიწად-მოქმედებისა, მეურნეობისა ამ რამდენისამე ათასის ბროშიურის გავლენით, რომელიც შემთხვევით გაჩნდა სოფელში ამას წინად. წიგნმა გამოაცხადა სამეურნეო აზროვნება გლეხ-კაცისა, დაანახვა ახალი გზა მიწად-მოქმედების საქმეში. კორესპონდენტები იწერებიან, რომ წიგნის კითხვა იწვევს სოფელში სჯა-ბაასს, გლეხები ეთანხმებიან. წიგნის საბუთიანს მსჯელობას და ახლა უნდათ მიჰმართონ სამაზრო აგრონომს, ნასწავლს მეურნეს. ასე ჰკაფავს გზას წიგნი ერთის სააგრონომიო მოღვაწეობისათვის. სამწუხაროდ, წიგნი ჯერ კიდევ იშვიათი და შემთხვევითი სტუმარია სოფლისა. ვიდრე სოფელს არ მიეხმარება უჭლეა კერძო თაოსნობისა, წარმატებას ვერ ვეღირსებით და სოფლად მხოლოდ კარგი ნიადაგი იქნება მუქთამჭამელთათვის.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართულ წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა**. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ დამდეგის სეზონისათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უსახსრობისა გამო იძულებულია უარი სთქვას ქართულ წარმოდგენების მართვაზე.

ქართულ თეატრის გულშემატკივართ ამხანაგობა შეუდგენიათ, რომელიც კისრულობს დამდეგს სეზონში აწარმოვოს თეატრის საქმე. ამ ამხანაგობას უკვე ამოურჩევია ადმინისტრაცია, დროებითი ბიურო, რომელსაც მინდობილი აქვს ამხანაგთა შორის პირობის ხელშეკრულობის შემუშავება, სეზონისათვის მსახიობთა მოწვევა, სავარაუდო ანგარიშის შედგენა და სხვა.

ამხანაგობას უკვე შეუძენია რამდენიმე ახალი პიესა და, სხვათა შორის, აზიანისა «სამშობლოს ბურჯნი», ჰაუპტმანის დრამა «როზა ბერნდტ.», თარ. დ. ნახუცრიშვილისა, იბსენის «მოჩვენებანი», თარგ. ია ეკალაძისა, შილერის „ორლეანის ქალწული“, თარგ. ვაჟა-ფშაველასი, ფილიპპის «კაცობრიობის კეთილის მყოფელნი», თარგ. ვ. გუნიასი, ბრიეს „წითელი მანტია“, თარგ. ივ. პოლუმორდვინოვისა და სხვა.

ამხანაგობას აქვს დანიშნული უკანასკნელი კრება ამ ხუთშაბათს, რომელზედაც საბოლაოდ გადასწყდება ქართულ წარმოდგენების და თვით ამხანაგობის ორგანიზაციის საქმე.

# წერილი

## რედაქციის მიმართ

გაზეთ «ივერიის» 11 ამა აგვისტოს ნომერში (№ 184) წავიკითხე ქართულ ლექსიკონის შესადგენად მოწვეულ კრების დადგენილობა იმის შესახებ, რომ დაევალოს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მცხოვრებთ დაეხმარონ კრებისგან არჩეულ კომისიას ისეთ ქართულ სიტყვების მოგროვებაში, რომელიც დარჩენილა ხალხში, მაგრამ ლექსიკონში ჯერ არ არის შეტანილი. რადგანაც ხსენებულ კომისიის ადრესი არ ვიცი, რომ პირდაპირ მივმართო, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ «ივერიის» რედაქციას აცნობოს ამ კომისიას, რომ მე დიდის სიამოვნებით (და, რასაკვირველია, სრულიად უსასყიდლოდ) ვკისრებ ზემოხსენებულ სიტყვების შეკრებას ბორჩალოს მაზრაში, სადაც არის ისეთი ძველი და ძველებურის ენით მოლაპარაკე ქართული სოფლები, როგორიც არის გომარეთი, ბოლნისი, ყალამშა, დუმანისი, ქვეში და სხვანი. ეს ჩემთვის განსაკუთრებით შრომას არ შედგენს, რადგანაც სამსახურის საქმეებისაგამო მაინც ხშირად დავიარები ამ სოფლებში. მხოლოდ ამას ვთხოვ კომისიას, რომ დროებით მათხოვოს ჩუბინაშვილის სრული ლექსიკონი (აქ მხოლოდ შემოკლებული მოიპოვება), რომ ჩაუწერავ სიტყვების რიცხვში ისეთი სიტყვები არ შევიტანო შეცდომით, რომელიც უკვე ჩაუტანია ჩუბინაშვილსა. 1904 წლის, თერთმეტი აგვისტო. დ. შულავერი.

შულავრის მღვდელი ილია შუბლაძე.

ადრესი: М. Шулаверы, Тифлисск. губ., благоч. свящ. Шубладзе.

---

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, ულრმესი მადლობა გამოვუცხადო აღრაფინა ჭავჭავაძის ასულს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო დიდი ჯიხაიშის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, 16 აგვისტოს გამართულ წარმოდგენაში, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც დახმარება გაუწიეს ამ საქმეში—ქალ-ბატონი ანეტა და კატო ლორთქიფანიძეებს და კატო ორლოვსკის ასულს და ყველას, ვინც თანაუგრძნო ბიბლიოთეკის საქმეს.

დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკარი

ივანე ცქიტიშვილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 აგვისტო.

**კისლოვოდსკი**. კისლოვოდსკში იყო ერთი შემთხვევა ხოლერის ნაირი ავადმყოფობისა. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ის ავადმყოფობა ხოლერა არ იყო.

**სტამბოლი**. 22 აგვისტო. ზოგიერთმა აქ მყოფმა ელჩთაგანმა სომხეთის ვანიდამ დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ 19 აგვისტოს 150 სომეხთა რევოლუციონერი რუსეთელ სომხის მეთაურობით მოვიდენ ვანს, რომ სულთანის დაბადების დღეს აღელვება მოეხდინათ; იმათ ქალაქის ერთი უბანი დაიჭირეს და გაძარცვეს, მერე ცხარე შეტაკება მოუხდათ ოსმალეთის ჯარებთან. 35 სახლი სულ მტვრად აქციეს; ორთავე მხარს 41 კაცი მოუკვდა. 2 ათასმა ქრისტიანმა მონასტერს შეაფარა თავი ῀ მით გადარჩნენ ამოწყვეტასა. მეამბოხენი უფრო მარჯვეთა და მხნეთ ესროდენ ჯარებს საფრანგეთის კონსულის სახლის ახლო. დაწვრილებითი ამბები დეპეშით არ მოსულა. ინგლისის და ამერიკის კონსულებმა ვანში, რომელნიც ამ დროს თავიანთ რაიონების დასათვალიერებლად იყვნენ, ბძანება მიიღეს, დაუყოვნებლივ მიიქცნენ ვანს. ამის გამო ზინოვიევი ორ საათს ბაასობდა დიდ ვეზირთან.

**სტამბოლი**. 20 აგვისტოს (დაგვიანებული). რუსის მთავრობამ გააძლიერა კავკასიის საზღვრის დაცვა, რადგანაც ამ ბოლო დროს სომხეთის ბრბოებს ბევრი გაქცეული სომხები შეუერთდენ. ხმაა, ალექსანდროპოლში აღმოაჩინეს, რომ ფარულად გააქვთ იარაღი სომხებს კომიტეტებისათვის. ამბობენ, მოიგონეს ტყუილად ვითომ-და მიცვალებულთა დასაფლავება და კუბოებით კი იარაღი მიჰქონდათო.

**შანჰაი**, 24 აგვისტოს (რეიტერი). შანჰაის მყოფი იაპონიის ესკადრა, რომელშიაც 5 კრეისერი და ექვსი ნაღმის მმუსვრელია, დარჩება იქ იმ დრომდე, ვინემ «ასკოლდი» დოკიდან არ გამოვა და დიდს ზარბაზნებს არ აჰყრიან.

**ტოკიო**, 24 აგვისტოს (რეიტერი) ამბობენ, რუსებმა იანტაის იქით დაიწიესო, რომელიც მერე გენერალმა კუროკიმ აიღოო. როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ნაწილი რუსის ჯართა დარჩება ჟუნშუიძში სამხრეთად იანტაიდან, სადაც რუსის უმთავრესი ძალაა მოკრებილი.

**იანტაი**, 23 აგვისტო (რეიტერი). მოხდა ცხარე ბრძოლა იანტაიდან ჩრდილო-აღმოსავლეთად. იაპონელნი ჩრდილოეთისაკენ მიაწვნენ, მთის გაყოლებაზე, რომელიც მდებარეებს რკინის გზიდან აღმოსავლეთად. მოხდა რამდენიმე შეტაკება მუკდენიდან 20 მილზე სამხრეთ-აღმოსავლეთად.

**ჩიფუ**, 23 აგვისტო. (ბერლინი). 14 იაპონიის პოლკი გაიგზავნება ამ კვირია ტოკიოდან, რომ შეამსონ ის ნაკლი, რაც იმათ პორტ-არტურთან მოუვიდათ; როგორც მცოდნენი ამბობენ, იაპონელთ დაჰკარგეს 25 ათასი კაცი. როცა ეს ახალი ჯარი მიუვათ, ეყოლებათ ციხესთან 45 ათასი კაცი.

**სტამბოლი**, 24 აგვისტო. ხმაა, რომ საქმეთა მდგომარეობა ვილაეტში სომეხთა ამბების გამო, თუმცა საშიშოა, მაგრამ მაინც, როგორც სანდო წყაროდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, არც აგრერიგად საშიშოა. ბითლისის ვალი იუწყება, ამ ვილაეტში ამ დღეებში სომეხთა მეამბოხეთა და ჯარების შორის შებრძოლება მოჰხდა.

25 აგვისტო.

**პეტერბურგი**. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობის სახელზე, 23 აგვისტოს თარიღით: «დღეს, 23 აგვისტოს, ლაშქართ მარჯვენ მიიწევს ჩრდილოეთად, იმ საშიშ ყოფიდან გამოვიდა, რომელშიაც იყო ჩავარდნილი, სადაც მას მტერი ემუქრებოდა, როგორც ფრონტიდან, ისე მარცხენა ფრთიდან. ვიწრო გასავალში მთელი დღე არიერგარდებს ერთმანეთში სროლა ჰქონ-

---

ხრა, როცა ჩემს წინ დანაშაულივით ზის და ხმაც ვერ ამოუღია... არა, მე იმდენი უნდა მოვითმინო, რომ უეჭველად მოვახრევინო ჩემს წინაშე ამაყი თავი... შემდეგ-კი... მეც ვეტყვი ჩემს დიდის ხნის გულის პასუხს—მიყვარხარ მეთქი.

კარგა ხანს ისხდნენ ერთად. ხმას არც ერთი არ იღებდა. ნიკომ, ფრიდონის მეგობარმა, იფიქრა, ეგებ მე ვუშლი ლაპარაკსაო და გარედ გავიდა.

— როგორ გაჩუმებულხართ, ყმაწვილო? ეგებ ხელი შეგიშალეთ, ნიკოსთან რამ საიდუმლო ლაპარაკი გაგაწყვეტინეთ?!

— რატომ იკადრებთ,—მიუგო მორცხვად ფრიდონმა, — თქვენთან რა მაქვს დასამალი, მე თქვენგნით მოველი ახალს ამბებს... აქ, მთიულეთში, ჩვენ რა ვიცით....

— მე რა უნდა გითხრა, ჩემო ფრიდონ, ქალაქისა შენ არა მოგწონს-რა და... ისე, მაინც როგორ მშვიდობით ხართ, რასა იქთ, როგორ ატარებთ დროს...

— გმადლობთ, კარგად... მაგრამ...

— ოჰ, ეს მაგრამ.. არ შეიძლება უმაგრამოთ?

კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ისევ ფატმანმა.—ფრიდონ, შენ კიდევ გაჩუმდი?.. ნუ თუ არაფერი გაქვს სათქმელი?..

— ოჰ!.. ჩემო ღვთაებავ,—წამოიძახა ფრიდონმა და ის-ის იყო უნდა დავარდნილიყო ფატმანის წინ, მაგრამ თავი შეიკავა.

— რაღად შეტორტმანდი, ჩემო კარგო, ვგონებ ადგომა გინდოდა... ისე წითლდები, თითქო გრცხვენოდეს კიდეც, რაღას ამბობ, შენთან დასამალი არაფერი მაქვსო, რაღას მიმალავ, ვილასი გრცხვენია.. ჩვენ ხომ აქ მარტოკანივართ?..

— მიყვარხარ... გიყვარდე!..—უთხრა ფრიდონმა ათრთოლებულის ხმით და მუხლ-მოწყვეტით დაეცა ფატმანის წინაშე... ორივენი ჩაეკონენ ერთმანეთს...

ვინ წარმოიდგენს, რამდენი სინაზე, რამდენი უმანკოება და ნამდვილი ტრფიალებით სავსე სიცოცხლე იყო ამ დროს განხორციელებული ფრიდონისა და ფატმანის სისხლსა და ხორცში. ისინი ამ ჟამად ორნი კი არ იყვნენ, არამედ ერთნი. მათ ამ დროს აზრი, გრძნობა, მისწრაფება და თვით სულის სუნთქვაც-კი ერთი ჰქონდათ. ეს ხომ ბედნიერებაა...

VI

რამდენისამე ხნის შემდეგ ამ შემთხვევისა, ისინი უკვე გვირგვინ-ქვეშ იდგნენ.

— ღმერთმა შეგაერთათ, კაცნი ნუ განაშორებენ,-სთქვა მღვდელმა და აღამაღლა ჯვარი საკურთხევლად. სწორედ ამ დროს, როცა მეფე-დედოფალს გვირგვინს უსწორებდნენ, ფატმანმა ფრიდონს ფეხზე ფეხი დაადგა... ფრიდონს გააკანკალა და უცებ მოაშორა თავი გვირგვინს.. მღვდელს ჯვარი ხელში შეუჩერდა...

„.... თვით ღვთაებაც-კი...“ შემძულდება, თუ მონობას შემომიკვეთავს»,— სთქვა ფრიდონმა და განშორდა იქაურობას.

იასე რაჭველი.

დათ, განსაკუთრებით მარცხენა ფრთისკენ. ჩვენ დღეს დაგვაკლდა ას კაცამდე. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“. — უქვეშევრდომილესი დეპეში გენერალ-ლეიტენანტის ლიაპუნოვისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 24 აგვისტოს თარიღით: «დღეს, 24-ს, დილით, კორსაკოვის სადგომთან მოახლოვდა მტრის ორი სამხედრო გემი და გაჩერდნენ 7 ვერსზედ ნაპირიდან. 10 საათსა და 20 წუთზე ორთავე გემებმა მტრისამ წყალში ჩაძირულ კრეისერ ნოვიკთან მიგზავნეს ორი კატერი (პაწია გემ-ნავი). ჩვენმა ჯარებმა სროლა დაუწყეს და კატერები გაბრუნდნენ. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

**ტოკიო**, 25 აგვისტოს (რეიტერი). ოიამას მოხსენებაში ნათქვამია, რომ რუსებს ჯერ ისევ უჭირავთ ქვა-ნახშირის მადნები იანტაიშიო. ეს მადნები ერთად ერთია ჩრდილო-მანჯურიაში და დიდი მნიშვნელობაცა აქვს რუსეთის რკინის გზებისათვის. —რუსეთის ჯარს უჭირავს ინშუნსუ,, იანტაიდან სამხრეთად. კუროპატკინს მარჯვენა ფრთა ახლოა რუსებთან. მარცხენა და შუაგული ლაშქარი იაპონელთა ტაიძეხეს მარცხენა ნაპირად არიან. ოიამა ჰფიქრობს ნაწილი ჯარისა გაჰგზავნოს ჩრდილოეთად ნუშანის დასაპყრობად. უკან დახევის დროს რკინის გზის აყოლებად, კუროპატკინმა დასწვა რკინის გზის ყველა ხიდები და სხვა ხიდებიც, ტაიძიხეზე გადადებული. მოხსენებაში არ არის აღნიშნული რიცხვი ზარბაზნებისა, რომელიც დარჩათ იაპონელებს. ოიამა ამტკიცებს, რომ ჯარი საუცხოვო გუნებაზეა, თუმცა ათს დღეს განუწყვეტელს ბრძოლაში იყო და დიდი მსხვერპლიც გასწირა. კუროპატკინს მაშველი ჯარი მოსდიოდა 17 აგვისტომდე. 12 დივიზიამდე, ჯარი ჰყვანდა. ზარალი ჯერ ცნობილი არ არის მოყვანილი. რუსებმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს მაღლობებზედ ხეიანტაის დასავლეთად. მხოლოდ ოთხის დღის შეუწყვეტელის და მედგარის ბრძოლის შემდეგ მოვახერხე და დავიჭირე რუსთა სიმაგრებიო.

**ლონდონი**, 25 აგვ. (რეიტერი), კარდიფში უცხაური ხმაა გავრცელებული, ვითომ მთავრობამ აღუკრძალა გერმანიის გემს, ნუღარ დაიტვირთები ინგლისის საუკეთესო ქვა-ნახშირითაო. ეჭვი ჰქონდათ, ნახშირი რუსთა კრეისერებისათვის უნდათო. მაგრამ გადაწყვეტით უარ-ჰყოფენ ამ ამბავს კარდიფში. კუროპატკინის უკან დახევა შესამჩნევს ადგილს დაიჭერს სამხედრო ისტორიაში, რადგან დიდის და შესანიშნავის მოხერხებით იქმნა შესრულებული. სამხედრო მატიანეში ცოტაა ისეთი ამბავი, რომელიც ჰგავდეს რუსთა მთავარ-სარდლის საქციელს, თუ მხნეობისა და გაბედულობის მხრივ. ამ უკან დახევის შედეგს დიდი გავლენა ექმნება ომის მომავალზედ.

**ნიუ-ჩუანი**, 24 აგვ. (რეიტერი), რუსნი უკან იწევენ უფრო ტელინისაკენ და მუკდენს გვერდს უქცევენ.

**ჩიფუ**. 24 აგვ. (რეიტერი). 10,000 ავადმყოფი იაპონელთა დალნიშია ამ ჟა, მად. ნახევარზედ მეტი ბერბერით არის ავად და ბევრსაც ჰხოცავს. რუსებს პორტ-არტურში ბლომად აქვთ სურსათი. საღამოთი ისმის პორტ-არტურისკენ თოფის სროლა. ყუმბარები დაუშინეს პორტ-არტურს 20 და 21 აგვისტოს. ორი ზარბაზანი ერლუშანის სიმაგრეზედ დააზიანეს.—ფქვილის ფასმა დაიწია პორტ-არტურში და ოთხის მაგიერ ორი მანათი გახდა ფუთი, რაკი გემი მოვიდა სურსასითა. ჩინელები ამბობენ, რომ რუსნი 25 აგვისტოს ელიან საერო იერიშს ზღვიდან და ხმელეთიდანაო. ტოგოს ალყა მტკიცე ვერ არის და კონტრაბანდი მიაქვთ პორტ-არტურში გემებითაო.

**ზანზიბარი**, 24 აგვისტო (რეიტერი), გერმანელთა გემი «კრონპრინცი» ამბობს, რომ ვნახე „პეტერბურგი“ და „სმოლენსკიო“. ნახშირით იტვირთებოდნენო. ბრიტანიის კრეისერი წავიდა იმათთან და გადასცა ოფიციალური წინადადება ინგლისის მთავრობისა, ნუღარ შეაყენებთ სანეიტრალო გემებსაო. კრეისერებმა მიიღეს რუსეთის განკარგულება და წავიდნენ.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო შ ი**,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

**და რეზინის სხვა საქონლისათვის**

## უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს

## რუსეთ-ამერიკის

**რეზინის მანუფაქტურისას**

**ს.-პეტერბურგში,**

დაარსებულს **1860** წელს.



**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

**„ლეოპოლდ ნიეშელლერი“**

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—40).


# ბ ა ლ ა ნ ს ი ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ კ ი ს ა

1 აგვისტოსათვის 1904 წლისა.

ა ქ ტ ი ვ ი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 29525 | 05 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ. | 10374 | 56 |
| III. პირობა ვადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 2008 | 84 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: . 1591—76 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 287789 | 59 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. . . . . . | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. . . | 9750 | — |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა, კუპ. და სხვ. . . . . . . | 420 | 90 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ც მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. . 21328—00 ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 55006—00 გ) საქონელზედ . . . 23259—50 დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 8579—00 | 108172 | 50 |
| XI. გარდახდილი პროცენტები . . | 11445 | 73 |
| XII. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . | 221 | 21 |
| XIV. მოწყობა და მომართვა . . . | 2088 | 64 |
| XV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 90205—31 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 40481—21 | 130686 | 52 |
| XVI. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ | 268 | 03 |
| XVII. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . | 442 | 72 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯები . . . | 11309 | 30 |
| ბალანსი | 623543 | 73 |

პ ა ს ი ვ ი.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 801 წევრისგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 89531 | — |
| II. სათადარიგო თანხა: . . . | 9386 | 38 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით . 126636—37 ბ) ვადით . . . 149753—33 გ) უვადოთ . . 2850—00 | 279239 | 70 |
| IV. გარდამავალი თანხა . . . . | 1877 | 62 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . | 2328 | 54 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . | 1 | 15 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად . . . | 806 | — |
| VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა . . | 500 | — |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 43809—27 ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 68772—55 | 112581 | 82 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. , . | 30278 | 59 |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ ბანკის განყოფილებაში . 27700—00 სხვა ბანკებში . . . 39870—00 | 67570 | — |
| XII. წაუღებელად დივიდენდი წარსულ წლ. | 2938 | 38 |
| XIII. მიღებული სარგებელი . . . | 24337 | 75 |
| XIV. 1903 წლის წაუღებელი დივიდენდი. . | 2100 | 83 |
| XV. მოგება და ზარალი 1904 წლისა . . | 40 | — |
| XVI. გაუყოფელი დარჩომილი ფული 1903 წ. | 25 | 97 |
| ბალანსი. | 623543 | 73 |
| პასუხის-მგებლობა 801 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდა . . . . | 805779 | |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება . . . . . | 5900 | 16 |
| თამასუქები საკომისიოდ. . . . . | 9460 | — |


# ოდესელი ოსტატი

ი ღ ე ბ ს ხ ხ ვ ა-დ ა-ს ხ ვ ა **ს ა ხ ა რ ა ტ ო** ს ა ქ მ ე ს.

ამზადებს საუკეთესო ჩარხის მასრებს სპილოს ძვლისაგან იაფად. ოქრომჭედლების რიგი, სახლი გერმანისა, № 25.

ოსტატი ივანე იანთაშვილი.

# Одесскій токарный

# МАСТЕРЪ

**принимаетъ разныя токарные заказы**

приготовляетъ наилучшіе газири изъ слоновой кости.

Обновленіе старыхъ зонтиковъ

Серебряный рядъ, № 25, домъ Германа

(6—1). *Иванъ Янташвили.*

საუკეთესო საავარაკო ადგილები

# ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

# ი ყ ი დ ე ბ ა

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

**въ Закавказскомъ краѣ**, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).


Дозволено цензурою Тифлисъ 25 августа 1904 г. Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ. домъ арм. семинаріи